

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2019 წლის 7 მაისი

ქ. თერჯოლა

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი, სსმ, 27/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.126.016290) შეტანილ იქნეს ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის მიხედვით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 7 მაისიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნინო ჯანელიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	14 185,3	15 257,6	5 609,0	9 648,6	16 121,2	6 221,2	9 900,0
11	გადასახადები	2 276,0	2 511,3	0,0	2 511,3	9 148,1	0,0	9 148,1
13	გრანტები	11 064,2	11 897,6	5 609,0	6 288,6	6 221,2	6 221,2	0,0
14	სხვა შემოსავლები	845,1	848,7	0,0	848,7	751,9	0,0	751,9
2	ხარჯები	8 052,3	8 991,2	160,0	8 831,2	10 164,5	946,3	9 218,2
21	შრომის ანაზღაურება	1 574,6	1 953,5	73,1	1 880,4	2 027,0	73,0	1 954,0
22	საქონელი და მომსახურება	1 095,8	1 032,5	9,7	1 022,8	2 051,7	726,9	1 324,8
23	ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



24	პროცენტი	0,0	53,2	0,0	53,2	51,2	0,0	51,2
25	სუბსიდიები	4 535,0	4 867,6	76,0	4 791,6	4 972,5	69,0	4 903,5
26	გრანტები	0,7	0,7	0,0	0,7	1,0	0,0	1,0
27	სოციალური უზრუნველყოფა	726,7	835,9	1,2	834,7	820,0	3,0	817,0
28	სხვა ხარჯები	119,5	247,8	0,0	247,8	241,1	74,4	166,7
	საოპერაციო სალდო	6 133,0	6 266,4	5 449,0	817,4	5 956,7	5 274,9	681,8
31	არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 307,0	5 492,7	4 944,4	548,3	9 774,4	7 862,9	1 911,5
311	ზრდა	4 410,0	5 588,2	4 944,4	643,8	9 924,4	7 862,9	2 061,5
312	კლება	103,0	95,5	0,0	95,5	150,0	0,0	150,0
	მოლიანი სალდო	1 826,0	773,7	504,6	269,1	-3 817,7	-2 588,0	-1 229,7
	ფინანსური აქტივების ცვლილება	1 857,2	0,0	0,0	0,0	-3 817,7	-2 588,0	-1 229,7
32	ზრდა	1 867,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3212	ვალუტა და დეპოზიტები	1 867,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3213	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3214	სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3216	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3217	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3218	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	10,2	0,0	0,0	0,0	3 817,7	2 588,0	1 229,7
3222	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	3 817,7	2 588,0	1 229,7
3223	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3224	სესხები	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3225	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3226	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3227	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



3228	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3	ვალდებულებების ცვლილება	-111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
332	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
331	საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
322	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	შემოსულობები	14 333,6	15 353,1	5 609,0	9 744,1	16 271,2	6 221,2	10 050,0
1	შემოსავლები	14 185,3	15 257,6	5 609,0	9 648,6	16 121,2	6 221,2	9 900,0
31	არაფინანსური აქტივების კლება	103,0	95,5	0,0	95,5	150,0	0,0	150,0
32	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	45,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გადასახდელები	12 573,6	14 579,4	5 104,4	9 475,0	20 088,9	8 809,2	11 279,7
2	ხარჯები	8 052,3	8 991,2	160,0	8 831,2	10 164,5	946,3	9 218,2
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 410,0	5 588,2	4 944,4	643,8	9 924,4	7 862,9	2 061,5
32	არაფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების კლება	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ნაშთის ცვლილება	1 760,0	773,7	504,6	269,1	-3 817,7	-2 588,0	-1 229,7



თავი II

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16271.2 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	14298,5	15353,1	5609,0	9744,1	16271,2	6221,2	10050,0
11	გადასახადები	2276,0	2511,3	0,0	2511,3	9148,1	0,0	9148,1
13	გრანტები	11064,2	11897,6	5609,0	6288,6	6221,2	6221,2	0,0
14	სხვა შემოსავლები	845,1	848,7	0,0	848,7	751,9	0,0	751,9
31	არაფინანსური აქტივების კლება	103,0	95,5	0,0	95,5	150,0	0,0	150,0
32	ფინანსური აქტივების კლება	10,2	0	0	0	0	0	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9148,1 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
11	გადასახადები	2276,0	2511,3	0,0	2511,3	9148,1	0,0	9148,1
112	საშემოსავლო გადასახადი	869,7	779,5	0,0	779,5	0,0	0,0	0,0
113	ქონების გადასახადი	1406,3	1731,8	0,0	1731,8	1500,0	0,0	1500,0
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	905,8	1270,0	0,0	1270,0	1150,0	0,0	1150,0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	112,9	78,0	0,0	78,0	0,0	0,0	0,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	16,0	19,2	0,0	19,2	5,0	0,0	5,0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	72,6	68,3	0,0	68,3	41,0	0,0	41,0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	299,0	296,3	0,0	296,3	304,0	0,0	304,0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



114	დამატებული ღირებულების გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	7648,1	0,0	7648,1
116	სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6221.2 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
13	გრანტები	11064,2	11897,6	5609,0	6288,6	6221,2	6221,2	0,0
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11064,2	11897,6	5609,0	6288,6	6221,2	6221,2	0,0
1311	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5318,7	6224,7	160,0	6064,7	1311,2	1311,2	0,0
	გათანაბრებითი ტრანსფერი	5158,7	6064,7	0,0	6064,7	0,0	0,0	0,0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	160,0	0,0	1311,2	1311,2	0,0
1312	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5745,5	5449,0	5449,0	0,0	4910,0	4910,0	0,0
	რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	3855,7	5358,1	5358,1	0,0	4180,0	4180,0	0,0
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	690,0	690,0	0,0
	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	1889,8	90,9	90,9	0,0	40,0	40,0	0,0
	სხვა პროექტები	0,0	223,9	0,0	223,9	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 751,9 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
14	სხვა შემოსავლები	845,1	848,6	0,0	848,6	751,9	0,0	751,9
	პროცენტები	99,4	126,2	0,0	126,2	70,0	0,0	70,0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	253,2	371,2	0,0	371,2	250,0	0,0	250,0



14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	251,7	370,5	0,0	370,5	250,0	0,0	250,0
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,5	0,7	0,0	0,7	0,0	0,0	0,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	113,6	94,6	0,0	94,6	86,9	0,0	86,9
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	100,0	80,3	0,0	80,3	80,0	0,0	80,0
14222	სანებართვო მოსაკრებელი	29,1	13,4	0,0	13,4	15,0	0,0	15,0
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,4	0,0	0,4	0,0	0,0	0,0
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	70,9	66,5	0,0	66,5	65,0	0,0	65,0
142216	ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	13,6	14,3	0,0	14,3	6,9	0,0	6,9
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13,6	14,3	0,0	14,3	6,9	0,0	6,9
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	316,6	229,5	0,0	229,5	320,0	0,0	320,0
	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	62,3	27,1	0,0	27,1	25,0	0,0	25,0

თავი III

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 20088.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
2	ხარჯები	12462,3	14579,4	5104,4	9475,0	20088,9	8809,2	11279,7
21	შრომის ანაზღაურება	1574,6	1953,5	73,1	1880,4	2027,0	73,0	1954,0
22	საქონელი და მომსახურება	1095,8	1032,5	9,7	1022,8	2051,7	726,9	1324,8
24	პროცენტი	0,0	53,2	0,0	53,2	51,2	0,0	51,2
25	სუბსიდიები	4535,0	4867,6	76,0	4791,6	4972,5	69,0	4903,5
26	გრანტები	0,7	0,7	0,0	0,7	1,0	0,0	1,0



27	სოციალური უზრუნველყოფა	726,7	835,9	1,2	834,7	820,0	3,0	817,0
28	სხვა ხარჯები	119,5	247,8	0,0	247,8	241,1	74,4	166,7
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4410,0	5588,2	4944,4	643,8	9924,4	7862,9	2061,5
33	ვალდებულებების კლება	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9924,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	59,6	41,4	0,0	41,4	65,2	0,0	65,2
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4172,4	5456,6	4882,7	573,9	8822,7	7147,4	1675,3
04 00	განათლება	178,0	64,1	61,7	2,4	1009,5	715,5	294,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 00	ჯანდაცვის პროგრამები	0,0	26,1	0,0	26,1	27,0	0,0	27,0
	სულ ჯამი	4410,0	5562,1	4944,4	617,7	9924,4	7862,9	2034,5

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
31	არაფინანსური აქტივების კლება	103,0	95,5	0,0	95,5	150,0	0,0	150,0
311	ძირითადი აქტივები	16,7	73,9	0,0	73,9	100,0	0,0	100,0
312	მატერიალური მარაგები	-0,5	1,8	0,0	1,8	0,0	0,0	0,0



314	არაწარმოებული აქტივები	86,8	19,8	0,0	19,8	50,0	0,0	50,0
3141	მიწა	86,8	19,8	0,0	19,8	50,0	0,0	50,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
32	ფინანსური აქტივების კლება	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
324	სესხები	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2513,4	2915,4	0,0	2915,4	3143,9	0,0	3143,9
7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2513,4	2848,5	0,0	2848,5	3123,2	0,0	3123,2
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2513,4	2848,5	0,0	2848,5	3073,2	0,0	3073,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	50,0	0,0	50,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	66,9	0,0	66,9	20,7	0,0	20,7
702	თავდაცვა	94,0	111,8	83,0	28,8	125,0	90,0	35,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3611,8	3706,9	3396,4	310,5	5101,2	4219,7	881,5



7045	ტრანსპორტი	3611,8	3706,9	3396,4	310,5	5101,2	4219,7	881,5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3611,8	3706,9	3396,4	310,5	5101,2	4219,7	881,5
705	გარემოს დაცვა	1169,1	1256,0	0,0	1256,0	1200,0	0,0	1200,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1169,1	1256,0	0,0	1256,0	1200,0	0,0	1200,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	795,0	2045,0	1486,3	558,7	4216,6	3092,8	1123,8
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	233,1	156,0	0,0	156,0	1204,7	796,5	408,2
7063	წყალმომარაგება	299,0	1691,1	1486,3	204,8	2071,9	1606,3	465,6
7064	გარე განათება	162,3	197,9	0,0	197,9	250,0	0,0	250,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	100,6	0,0	0,0	0,0	690,0	690,0	0,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	105,9	112,2	76,0	36,2	110,0	69,0	41,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	82,8	86,1	76,0	10,1	83,0	69,0	14,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	23,1	26,1	0,0	26,1	27,0	0,0	27,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1195,6	1345,7	0,0	1345,7	1314,0	0,0	1314,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	358,7	457,8	0,0	457,8	440,0	0,0	440,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	784,9	836,6	0,0	836,6	819,0	0,0	819,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	52,0	51,3	0,0	51,3	55,0	0,0	55,0
709	განათლება	2295,9	2276,0	61,7	2214,3	4055,7	1336,7	2719,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2112,8	2088,3	61,7	2026,6	2442,6	185,5	2257,1
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	183,1	187,7	0,0	187,7	1613,1	1151,2	461,9
710	სოციალური დაცვა	792,9	810,4	1,0	809,4	822,5	1,0	821,5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	58,2	49,3	0,0	49,3	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	410,6	464,7	0,0	464,7	822,5	1,0	821,5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	324,1	296,4	1,0	295,4	0,0	0,0	0,0
	სულ	12573,6	14579,4	5104,4	9475,0	20088,9	8809,2	11279,7



თავი IV

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -3817.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3817.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისათვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ხელშეწყობა.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებული ასფალტოვანი დაზიანებული გზების, ხიდების შეკეთება და ხრეშოვანი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ საგარანტიო თანხების დაფინანსება. ასევე განხორციელდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი დაფინანსების თანადაფინანსება.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო გზების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 2668,2 ათასი ლარი. მათ შორის: სოფ. ჩხარი-ძეგრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 210,1 ათასი ლარით. გოდოგანი-ნაგარევი-ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 639,0 ათასი ლარით, სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 509.0 ათასი ლარით. თერჯოლა-ახალთერჯოლა-ჩხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 460,2 ათასი ლარით. სოფ. ნახშირდელეში ნიკოლაძეების



უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 400.0 ათასი ლარით და სოფ. ვარდიგორა-ჯგილათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 450.0 ათასი ლარით.

ასევე განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, საგარანტიო თანხების დაფინანსება და განხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსება და საზედამხედველო საქმიანობის დაფინანსება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის და კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა. მათ შორის: სახურავების რეაბილიტაცია, გარე განათების და წყალ-კანალიზაციის მოწესრიგება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

ბ.ა) საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენებისა და გართობის ადგილების შექმნა. სკვერებისა და პარკების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა;

მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 717,8 ათასი ლარი. მათ შორის: სოფ. ძეგრის ცენტრის კეთილმოწყობა დაფინანსდება 491,4 ათასი ლარით და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა დაფინანსდება 226,4 ათასი ლარით.

მთავრობის №986 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 40.0 ათასი ლარი სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ.

ასევე განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, საგარანტიო თანხების დაფინანსება და განხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსება და საზედამხედველო საქმიანობის დაფინანსება.

ბ.ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: ქსელის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი წყლის სათავე ნაგებობებისა და ქსელის მოწყობა, არსებული დაზიანებული სასმელი წყლის მიწების შეცვლა, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.



რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 794.0 ათასი ლარი. სოფელ ბარდუბანში სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად.

ასევე განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, საგარანტიო თანხების დაფინანსება და განხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსება და საზედამხედველო საქმიანობის დაფინანსება.

ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია.

გ) დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება. კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი.

ამ ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ცენტრალური საავტომობილო გზის, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თვითდინებითი წყალსადენების წყლის სათავე ნაგებობებისა და წყლის სისტემების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე და დეკორატიული განათების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ქალაქგამწვანებისა და ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. შენობა ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების გაზონების მოწყობა, მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების წარმოება და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

სოფლების ცხოვრების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილი დაფინანსებიდან განხორციელდება მოსახლეობის მიერ არჩეული პროექტების დაფინანსება.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება სუბსიდირების მუხლით, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ორგანიზება და მართვა.

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (პროგრამული კოდი 04 01 01)



ქვეპროგრამის მიზანი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა;

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ეფექტიანი ფუნქციონირება. ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“.

ა.ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

ქვეპროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისათვის მზაობა;

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“ მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა-ბაღს სადაც ფუნქციონირებს 54 საამშრომლო ჯგუფი.

საბავშვო ბაგა-ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1183 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვებას, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს სუბსიდიის მუხლით. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

ა.გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)

ქვეპროგრამის მიზანი: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ბაღების მშენებლობა. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფელ გოგნში აშენდება საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესრულება.

ბ) სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანი: მომავალი თაობის ინტელექტუალური, ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდა; მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, რომელიც ფინანსდება სუბსიდიის მუხლით. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას და აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ და რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსებში.

გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის მიზანი: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტის პროპაგანდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ადგილობრივი სპორტული კლუბები და ღონისძიებები, წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების დაჯილდოება, წარმატებული სპორტსმენების სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას.

ა.გ) სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება და თაობათა შორის მემკვიდრეობის უწყვეტობა, მოზარდი თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მასობრივი სპორტის განვითარების პროპაგანდა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“, რომელიც აქტიურად ახორციელებს სპორტის სახეობათა მიხედვით სპორტული გუნდების, ჯგუფების და სექციების მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში და შეჯიბრებებში, თანამშრომლობს სახელმწიფო და არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად ატარებს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს (კალათბურთი, ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, ჭიდაობა, მხიარული სტარტები და სხვა) ცენტრი ეფექტურად იყენებს სპორტულ ნაგებობას, უფლის და პატრონობს როგორც მას, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შადრევანს და გამწვანებულ ზოლს. ცენტრი უზრუნველყოფს თერჯოლის მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ სპორტსმენებად. სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ჭიდაობის 10 ჯგუფი, ჭადრაკის - 2, კალათბურთის - 1, კარატეს -1, სანდას -1, ტანვარჯიშის -1 და რაგბის 2 ჯგუფი. სკოლაში მთლიანად წვრთნენ გადის 350 მოზარდი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ყველა ხარჯს სუბსიდიის მუხლით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი: ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, სამხატვრო და სამუსიკო ხელოვნებისადმი მოზარდთა დაინტერესება;

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: სამხატვრო და სამუსიკო ხელოვნებისადმი მოზარდთა დაინტერესება;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ვაჟა კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლა“, სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 200 ბავშვი, სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 5 ლარს თვეში.

